



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №091/16<sup>1</sup>

### გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სოფიკო პეტრიაშვილი (სტუდენტი)

#### ფაქტები:

ადვოკატსა და კლიენტს (საჩივრის ავტორს) შორის ზეპირი ფორმით დადებულ ხელშეკრულებაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატს მომსახურება უნდა გაეწია საოჯახო საქმეზე, თანასაკუთრების გაყოფასთან დაკავშირებულ დავაში. როდესაც სასამართლომ ადვოკატის მოთხოვნის საფუძველზე ყადაღა დაადო თანასაკუთრებაში არსებულ ბინას, პარალელურად საჩივრის ავტორს შეეძინა შვილი, რომლის ნახვის უფლებასაც დედა არ აძლევდა, მაგრამ ადვოკატმა სასამართლოს მეშვეობით განუსაზღვრა ნახვის დღეები. კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, ადვოკატმა დაზუსტებული სარჩელით გაზარდა მოთხოვნა ქონების გაყოფასთან ერთად ბანკებში არსებული აქტივების, სარგებლისა და ანაბრების გაყოფის შესახებ, აღსანიშნავია ის გარემოება რომ კლიენტის მხრიდან ანაბრებთან დაკავშირებით მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველყოფა იყო მთავარი მოთხოვნა ადვოკატისადმი და არა ყადაღა, რაც კლიენტის სასარგებლოდ გადაწყდა და ამასთანავე კლიენტს დაეკისრა ალიმენტის გადახდა.

#### პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიას მომართა კლიენტმა საკუთარი ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

#### სამართლებრივი შეფასება:

კოლეგიის შეფასებით, მხარეები - ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი გამოიყენებდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და ბინას დაადებდა ყადაღას, მოწინააღმდეგე მხარე ამ საპროცესო მოქმედების შესახებ სავარაუდოდ შეიტყობდა სასამართლოს მიერ, რაც განხორციელდა. ადვოკატს არ აქვს რაიმე სამართლებრივი ბერკეტი, რომ შეძლოს ამ ინფორმაციის მოპასუხე მხარისთვის გაუმჟავნებლობა, თუნდაც მცირე დროით. აღნიშნული ბუნებრივი მდგომარეობაა. კოლეგია ითვალისწინებს, რომ საოჯახო დავა ყოველთვის სენსიტიურია, ესმის საჩივრის ავტორის ემოცია და ზრუნვა ორსული მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მაგრამ განმარტავს, რომ ადვოკატის ბრალეული მოქმედება მომჩივანის ამ პრეტენზიასთან მიმართებით არ იკვეთება. საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა სადავო ანაბრებს არ დაადო ყადაღა, განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე.“. საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე. ადვოკატი უარყოფს, რომ კლიენტმა მოსთხოვა ანაბრებზე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება. საჩივრის ავტორს, გარდა

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c482d04e5734.pdf/5c482d04e5734.pdf>

განმარტებისა, კომისიისათვის არ მოუწოდებია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, რომ მან ადვოკატს მოსთხოვა ამ საპროცესო მოქმედების განხორციელება და ადვოკატმა ეს არ გააკეთა.

ნახვის დღეებთან დაკავშირებით კლიენტის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ბებიის მხრიდან შვილიშვილის ნახვის უფლებებზე. ადვოკატი განმარტავს, რომ მას კლიენტისათვის არასწორი კონსულტაცია არ გაუწევია, ამ რჩევის მიცემისას იხელმძღვანელა სტრატეგიით, რომ მოპასუხე მხარე ადამიანური მომენტიდან გამომდინარე პატივს სცემდა კლიენტის დედის ასაკს, ხელს შეუწყობდა ბავშვის ნახვას ბებიისა და მამის მიერ, და შესაძლოა ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის დალაგებულიყო. ეთიკის კომისია ვერ აფასებს ადვოკატის მიერ არჩეულ სამოქმედო ტაქტიკასა და საქმის წარმოების სტრატეგიას, კლიენტის ეს პრეტენზია უკავშირდება ადვოკატის ტაქტიკას, რომელიც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული. შესაბამისად, კოლეგიას არ გაუჩნდა ვარაუდი, რომ ადვოკატმა ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა

**დასკვნა:**

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ უნდა აღძრულიყო დისციპლინური დევნა.